ბრძანება:№28. 28233344
თარიღი:30/11/2023

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის" 180-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 103-ე, 104-ე მუხლებისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიულ საჯარო მოხელეთა მობილობის წესის" მე-5, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის" 180-ე მუხლის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებისათვის, დაიწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს შტატების გადაადგილება ან/და შემცირება.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს 3 ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი - რეორგანიზაციის დაგეგმვა;

ბ) მეორე ეტაპი - რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება;

გ) მესამე ეტაპი - რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელ მოხელეთა მობილობა.

3. დაიწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პირველი ეტაპი, რეორგანიზაციის დაგეგმვა. განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელ პირადი იურიდიული სამსახური განისაზღვროს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის მ.შ ნათია სახეჩიძე;

4. რეორგანიზაციის დაგეგმვაზე პასუხისმგებელმა პირმა იურიდიულმა სამსახურმა უზრუნველყოს:

ა) რეორგანიზაციისათვის განსახორციელებელი გეგმის შემუშავება და მერისთვის წარმოდგენა;

ბ) რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყებისათვის შესაბამისი სამართლებრივი

აქტის პროექტის შემუშავება, რომლის მიხედვითაც, საჭიროების შემთხვევაში, ასევე, განისაზღვრება რეორგანიზაციის შემდგომი ეტაპების განხორციელებისთვის აუცილებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და სხვა გასატარებელი ღონისძიებები.

5. დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურს რეორგანიზაციის დაწყების შესახებ წინამდებარე ბრძანების ყველა საჯარო მოხელისათვის გაცნობა და სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსთვის მიწოდება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი